ხშირად დასმული კითხვები

1. ტერიტორიულად სად ჩატარდება ზამთრის ბანაკი, რომელიც ახალგაზრდული ლაბორატორიების ინიციატივის ფარგლებში ამა წლის 9-14 დეკემბერს არის დაგეგმილი?

ზამთრის ბანაკის ადგილმდებარეობა ამ ეტაპზე ცნობილი არ არის. შერჩეულ მონაწილეებს ბანაკის ადგილმდებარეობის, პროგრამისა და საორგანიზაციო საკითხების შესახებ დეტალური ინფორმაცია წინასწარ მიეწოდებათ.

2. რა თემებს და მიმართულებებს მოიცავს ახალგაზრდული ლაბორატორიების ინიციატივის ფარგლებში გათვალისწინებული სასწავლო პროგრამა?

სასწავლო პროგრამა მონაწილეებს დაეხმარება იმ ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განვითარებაში, რომლებიც საჭიროა ახალგაზრდულ ლაბორატორიებში საქმიანობისა და ადგილობრივი ინიციატივების განხორციელებისთვის.

პროგრამა მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა ადამიანის უფლებები და დემოკრატიული მონაწილეობა, ადგილობრივი საჭიროებების გამოვლენა, ინიციატივების დაგეგმვა და მართვა, მონიტორინგი და შეფასება, დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა, კომუნიკაცია, ადვოკატირება და სხვა.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პრაქტიკულ მუშაობას, გამოცდილების გაზიარებასა და მიღებული ცოდნის გამოყენებას ახალგაზრდული ლაბორატორიების საქმიანობაში.



COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

3. რა როლი ექნებათ მენტორებს და როგორ დაეხმარებიან ისინი მონაწილეებს?

მენტორები ახალგაზრდულ ლაბორატორიებს საქმიანობის სხვადასხვა ეტაპზე გაუწევენ პრაქტიკულ მხარდაჭერას. ისინი წევრებს დაეხმარებიან იდეების განვითარებაში, რეალისტური სამოქმედო გეგმების შემუშავებაში, საჭირო რესურსებისა და შესაძლო პარტნიორების მოძიებაში, გუნდურ თანამშრომლობასა და განხორციელებული საქმიანობის შეფასებაში.

მენტორობის მთავარი მიზანია ახალგაზრდების დამოუკიდებლობის, თავდაჯერებისა და პრაქტიკული უნარების გაძლიერება. მენტორები არ მიიღებენ გადაწყვეტილებებს მონაწილეთა ნაცვლად, არამედ დაეხმარებიან მათ საკუთარი იდეების განვითარებასა და განხორციელებაში.

4. რა ტიპის აქტივობებს ახორციელებენ უკვე არსებული ახალგაზრდული ლაბორატორიები?

ევროპის საბჭოს ახალგაზრდული ლაბორატორიები ახალგაზრდების მიერ მართული არაფორმალური სივრცეებია, რომლებიც მათ შესაძლებლობას აძლევს, ერთობლივად იმუშაონ ადგილობრივი თემებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, განავითარონ საკუთარი იდეები და განახორციელონ პრაქტიკული ინიციატივები.

პირველი ლაბორატორიები 2025 წელს ჩამოყალიბდა და ამჟამად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 13 ახალგაზრდული ლაბორატორია მოქმედებს.

თითოეული ლაბორატორია საქმიანობის მიმართულებებს ადგილობრივი საჭიროებებისა და მონაწილეთა ინტერესების გათვალისწინებით განსაზღვრავს. მათი სამუშაო თემებია:

- ადამიანის უფლებები, თანასწორობა და ინკლუზია
- დემოკრატიული მონაწილეობა და ადგილობრივი თემის განვითარება
- განათლება და ცნობიერების ამაღლება
- ციფრული ტექნოლოგიები და მედიაწიგნიერება
- გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება
- მოხალისეობა და ახალგაზრდული ინიციატივები

ახალი მონაწილეები შეუერთდებიან უკვე მოქმედ ლაბორატორიებს ან ჩამოაყალიბებენ ახალ სტრუქტურებს და წევრებთან ერთად ჩაერთვებიან არსებული საქმიანობის განვითარებასა და/ან ახალი ინიციატივების დაგეგმვაში.

5. არიან თუ არა მუნიციპალიტეტები ჩართული უკვე არსებული პროეტების განსახორციელებლად და თანამშრომლობენ თუ არა ახალგაზრდებთან?

ახალგაზრდული ლაბორატორიები ადგილობრივი ინიციატივების განხორციელებისას, საჭიროებისა და შესაძლებლობების შესაბამისად, თანამშრომლობენ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის, ადგილობრივ ორგანიზაციებთან, თემის წარმომადგენლებთან და, ცალკეულ შემთხვევებში, მუნიციპალიტეტებთან.

მაგალითად, მარტვილის ახალგაზრდული ლაბორატორია მუშაობს ციფრული რუკის შექმნაზე, რომლის მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების გამოვლენა. ინიციატივის საწყის ეტაპზე ახალგაზრდებმა საკუთარი იდეა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს გააცნეს და მათთან შეხვედრები გამართეს.

თანამშრომლობის ფორმები დამოკიდებულია კონკრეტული ინიციატივის მიზნებზე, ადგილობრივ გარემოსა და შესაბამისი მხარეების ინტერესსა და შესაძლებლობებზე.